პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 232 (12146) | სამშაბათი, 10 ოქტომბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა





მოსკოვის კრემლში დამთავრდა აგება შენობისა, რომელშიც 17 ოქტომბერს მუშაობას დაიწყებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა. ახალი შენობა დათვალიერა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა.

სურათებზე: სცენა და მაყურებელთა დარბაზის ნაწილი; **ნ. ს. ხრუშჩოვი** ესაუბრება მშენებლობის ხელმძღვანელებს.

ფოტო ს. რასკინისა.

გამოფენა „კომუნისტური პარტია კომუნიზმისათვის გრძოლაში"

მ ო ს კ ო ვ ი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის ბიბლიოთეკაში გაიხსნა წიგნებისა და სურათების დიდი გამოფენა, რომელიც ასახავს სკკპ ბრძოლას კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ზ ე ი მ ი კ რ ე მ ლ ო ვ ი

მოსკოველ მშენებელთა ნამდვილი დღესასწაული შეიძლება ვუწოდოთ კვირადღეს — 8 ოქტომბერს. ჩვენს დედაქალაქს, მშვენიერ მოსკოვს, შეემატა კიდევ ერთი შესანიშნავი ნაგებობა — შენობა, სადაც გაიმართება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა.

მოსკოვის კრემლის ძველთაძველმა შენობებმა თავიანთ ოჯახში მიიღეს საუცხოო არქიტექტურული ანსამბლი — ნათელი და საამური, მსუბუქი, ჰაეროვანი. ძნელია თვალი მოსწყვიტო ელვარე შენობას, რომელიც თითქოს მთლიანად მინისაგან გაუკეთებიათ. სადარბაზო კარებისაკენ მიდის ფართო გრანიტის ფილებით მოკირწყლული ხეივნები. ორივე მხარეს დარგული ნაძვები და არყის ხეები აქ თავს ისე გრძნობენ, თითქოს დიდი ხანია დაუმეგობრდნენ კრემლის მიწას.

ექვსი ათასმა კაცმა დღეს სტუმართმოყვარეობით მიიღო ახალი შენობა. ესენი იყვნენ მშენებლები და მათი სტუმრები, მოსკოვის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელნი. რას წარმოადგენს ლითონის, გრანიტისა და მინის სასწლე, რომელიც მოკლე ვადაში აშენდა მოსკოვის კრემლში?

მოსკოვის მშენებელთა სალამო

მინის კარით შეედიკართ უზარმაზარ ფოიეში. არსებითად ფოიე რამდენიმეა. ყოველი მათგანი გამოირჩევა ლამაზი და ამავე დროს სადა მოპირკეთებით. ძალიან ბევრია სინათლე. სინათლით სავსეა დარბაზები, სადაც მაყურებლები დასეირნობენ. ბრწყინავს მარმარილოს იატაკი. უურადღებას იპყრობს მოკაშკაშე რესპუბლიკების მოზაიკური გერბები ალისფერი დროშების ფონზე.

ის, ვინც შენობა დააპროექტა, ფიქრობდა არა მარტო სილამაზეზე, არამედ მაყურებელთა კომფორტზეც. აქ ესკალატორებიც კი არის.

მაყურებელთა დარბაზი. იგი განცვიფრებას იწვევს ოდენობით. აი მხოლოდ რამდენიმე ციფრი. დარბაზის სიმაღლეა 22 მეტრი. სიგანე — 36 მეტრი, სიღრმე — 50 მეტრი. პარტერის რიგები ამფითეატრად ეშვება სცენისაკენ. სცენა ყველაზე დიდია ჩვენს ქვეყანაში. იგი არა მარტო ბრუნავს, არამედ იწევა კიდეც, ეშვება სექტორებად, აქ შეიძლება აჩვენონ ყველა სახეობის თეატრალური სანახაობა, ამასთან, ყველაზე მასობრივი. არის მოწყობილობა ფართო ეკრანისა და ფართო ფორმატის კინოსათვის. ჰაერი შემოდის კონდიციონერებელი. სიგრილეს ქმნის ჩვენი ქვეყნის საცხოვრებელ და ადმინისტრაციულ შენობებისათვის ყველაზე მძლავრი მაცივარი დანადგარი.

...სწრაფად ივსება პარტერისა და ქანდარის რიგები. იატაკის რბილი ფენილი ფარავს ნაბიჯების ხმაურს. შინდისფერი მატერიით გადაკრული სავარძლები მეტად მოხერხებულია. სავარძლებში ნამდვილად ისვენებთ. კედლები მოპირკეთებულია ხით. დღის სინათლე უხვად იფრქვევა ჭერიდან.

იწყება მშენებელთა საღამო, რომელიც მოაწყო სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანმა აკადემიურმა დიდმა თეატრმა.

მშენებლებთან ერთად ამ სასიხარულო დღის აღსანიშნავად მოვიდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები. შეკრებილნი ფეხზე ამდგარი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. გ. იგნატოვს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ნ. კოსიგინს, ო. ვ. კუუსინენს, ნ. ა. მუხიტდინოვს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ე. ა. ფურცევას, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, პ. ნ. პოსპელოვს, გ. ი. ვორონოვს, ვ. ვ. გრიშინს.

ისსნება ფარდა. წითელი დროშის ფონზეა ვ. ი. ლენინის ბარელიეფი. დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში. ჟღერს საზეიმო მელოდია სიმფონიური ორკესტრის შესრულებით. მუსიკას ცვლის სიმღერა, ცეკვები. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს დიდი თეატრის ოპერის, ბალეტის სოლისტებმა და მეგვიოლინეთა ანსამბლმა, პიატნიცკის სახელობის სახელმწიფო რუსულმა ხალხურმა გუნდმა, მოსკოვის საბჭოს სახელობის დრამატული თეატრის მსახიობებმა და მოსკოვის ესტრადის მსახიობებმა. დიდი თეატრის ბალეტის კოლექტივმა წარმოადგინა მეორე მოქმედება ჩაიკოვსკის ბალეტ „გედის ტბიდან". მესამე განყოფილებაში ნაჩვენები იყო მხატვრული ფილმი „მგზნებარე წლების ამბავი".

ყველამ, ვინც კი იყო 8 ოქტომბერს მშვენიერ დარბაზში, სიხარული და აღფრთოვანება განიცადა. შენობის პროექტის ავტორმა სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, მოსკოვის მთავარმა არქიტექტორმა მ. ვ. პოსოხინმა, დედაქალაქის სამშენებლო ორგანიზაციათა მრავალრიცხოვანმა მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა სამშობლოს უძღვნეს ღირსეული საჩუქარი სკკპ XXII ყრილობისათვის.

გაივლის რამდენიმე დღე, და კრემლის ახალი შენობა გულთბილად მიიღებს პარტიის XXII ყრილობის დელეგატებს, ყრილობისა, რომელიც დამტკიცებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიდებულ პროგრამას.

ვისწავლოთ მოწინავეთა გამოცდილებაზე

★ ★ ★

ვ ა მ რ ა ვ ღ ო თ ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ს ი მ დ ი დ რ ე, ყ ა ი რ ა თ ი ა ნ ა დ გ ა მ ო ვ ი ყ ე ნ ო თ მ ი წ ა

ვ ი ნ ი ც ი ს ო ლ ქ ი ს გ ე რ შ ა დ ი ს რ ა ი ო ნ ი ს ს ტ ა ლ ი ნ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს ა მ ხ. ვ. მ. კ ა ვ უ ნ ს, კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს პ ა რ ტ ი უ ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს მ დ ი ვ ა ნ ს ა მ ხ. გ. ი. კ უ ზ ი კ ს, ყ ვ ე ლ ა კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ს

ძ ვ ი რ ფ ა ს ო ვ ნ ო ა მ ხ ა ნ ა გ ებ ბ ი! პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში თქვენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აცნობეთ თქვენი კოლმეურნეობის შესანიშნავი წარმატებანი. უკანასკნელი წლების მანძილზე თქვენ გაორკეცეთ მარცვლეულის წარმოება, მკვეთრად გაადიდეთ მოსავლიანობა, გაკაფეთ ახალი გზები თვითეული ჰექტარი მიწის რაც შეიძლება რაციონალურად გამოყენებაში. თქვენი გამოცდილება ინტერესს წარმოადგენს არა მარტო უკრაინისათვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისთვისაც.

რა წუარობით არის მიღწეული მარცვლეულის წარმოების ასეთი ზრდა? თქვენ გაბედულად და გადაჭრით გადასნიჭეთ ნათესი ფართობების სტრუქტურა, მცირემოსავლიანი, მცირეფასიანი კულტურები შეცვალეთ ყველაზე მოსავლიანი კულტურებით და უწინარეს ყოვლისა ისეთებით, როგორიც სიმინდი და ბარდაა. ხატოვნად რომ ვთქვათ, თქვენი მარცვლეულის მეურნეობა დამყარებულია სამ ვეშაპზე — შემოდგომის ხორბალზე, სიმინდსა და ბარდაზე, რომლებსაც მარცვლეული კულტურების მთელი ნათესების 90 პროცენტი უჭირავთ, მათ შორის სიმინდს — 30 პროცენტი, ბარდას — 21 პროცენტი. ამ ორი მაღალმოსავლიანი კულტურის წილად მოდის ყველა მარცვლეული კულტურის ფართობების ნახევარზე მეტი.

ნათესი ფართობების ასეთი სტრუქტურისა და მოწინავე აგროტექნიკის პირობებში კოლმეურნეობა წლითიწლობით უხვ მოსავალს იღებს. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მარცვლეული კულტურების მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერს შეადგენს. 1961 წელს კოლმეურნეობამ შემოდგომის ხორბალი 1.372 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე აიღო 29,6 ცენტნერი, ბარდა 708 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 31,2 ცენტნერი, სიმინდი 900 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე იძლევა 60 ცენტნერ მარცვალს. კოლმეურნეობაში ყველა მარცვლეული კულტურის საშუალო მოსავალია 38 ცენტნერი ჰექტარზე. ეს შესანიშნავია!

კოლმეურნეობამ ხელი აიღო მოთესილ ანეულზე, გაფართოვა სათოხნი ნაკვეთი, რაც მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა იყო. ბარდისა და სიმინდის შემდეგ დათესილი შემოდგომის ხორბლის მოსავალი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ხორბლისა, რომელსაც წარსულში მოთესილ ანეულზე თესავდნენ.

თქვენ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას აჩვენეთ, როგორ უნდა გადაიჭრას მარცვლეულის წარმოების გადიდების ამოცანა, როგორ უნდა აიგოს თესლბრუნვები, მიწათმოქმედების როგორი სისტემა უნდა იქნას გამოყენებული. კარგია ის სისტემა, რომელიც მაქსიმალური რაოდენობით იძლევა პროდუქციას გაწეულ შრომაზე; კარგია ნათესების ის სტრუქტურა, რომელიც ყველაზე მეტი რაოდენობით იძლევა მარცვლეულს ჰექტარ ნახნავზე გაანგარიშებით. და ამ მხრივ მიწათმოქმედების თქვენმა სისტემამ გამოცდა ჩაბარა.

კოლმეურნეობაში წლითიწლობით დიდდება ტექნიკური კულტურების ნათესები. 1960 წელს შაქრის ჭარხალს ეკავა 1.115 ჰექტარი და ჰექტარზე აღებულ იქნა 343 ცენტნერი ძირხვენები. წელს შაქრის ჭარხალი დათესილია 1.135 ჰექტარზე. მოსავალი, თქვენი ვარაუდით, დაახლოებით 350 ცენტნერი იქნება ჰექტარზე.

ტექნიკური კულტურების ნათესებს რომ აფართოებთ, თქვენ ამასთან ერთად წლითიწლობით ზრდით მარცვლის წარმოებას. შესანიშნავია, ის, რომ 1961 წელს კოლმეურნეობამ ყოველ ჰექტარ ნახნავზე გაანგარიშებით, ხაზგასმით აღვნიშნავ, ყოველ ჰექტარ ნახნავზე და არა ჰექტარ ნათესზე აწარმოა 20 ცენტნერი მარცვალი.

დიდ ღირებულებას წარმოადგენს ბარდის თესვის თქვენი გამოცდილება. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ბარდის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 31 ცენტნერი იყო. წელს ამხ. პ. გ. ოტჩენაშის ბრიგადამ 60 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 38,1 ცენტნერი ბარდა, ამხ. დ. მ. ბარაბოლის ბრიგადამ ასეთივე ფართობის საშუალოდ ჰექტარზე აიღო 36 ცენტნერი ბარდა. კარგია, რომ თქვენს კოლმეურნეობაში ასეთი სიუვარულით მოპყავთ ბარდა. ეს მართლაც მეტად ძვირფასი კულტურაა. იგი ერთსა და იმავე დროს სამ ამოცანას წყვეტს:

— ზრდის მარცვლის წარმოებას;

— უზრუნველყოფს მეცხოველეობას ცილით მდიდარი საკვებით;

— ჰაერიდან იღებს აზოტს, აგროვებს მას ნიადაგში და ამით ზრდის მინდვრების ნაყოფიერებას.

საჭიროა, რომ მიწის რაც შეიძლება რაციონალურად გამოყენების თქვენი გამოცდილება სხვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის კუთვნილებაც გახდეს. მოწინავის, პროგრესულის ფართო პრაქტიკაში დანერგვა საერთო-პარტიული საქმეა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულმა ორგანიზაციებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა უურადღებით შეისწავლონ თქვენი კოლმეურნეობის ნათესების სტრუქტურა, თესლბრუნვები, შემოდგომის ხორბლის, სიმინდის, ბარდისა და სხვა კულტურების მოყვანის ხერხები, დეხმარონ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს შემოქმედებითად გამოიყენონ თქვენი გამოცდილება.

საბჭოთა ადამიანები ამაყობენ თქვენი მიღწევებით და დიდად აფასებენ მათ. თქვენი თავდადებული შრომა ღირსეული საჩუქარია პარტიის XXII ყრილობისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალედ გილოცავთ შესანიშნავ წარმატებებს! გისურვებთ ახალ შრომითს გამარჯვებებს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ!

ამ წერილში მე მინდა თქვენი ყურადღება, ამხ. კავუნ, აგრეთვე სხვა კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, პარტიული მუშაკებისა მივაპყრო ლიპეცკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „პეტროვსკის" დირექტორის ამხ. ი. პ. ვოლოვჩენკოს სტატიას, რომელიც მე გაზეთ „სელსკაია ჟიზნის" 1961 წლის 28 სექტემბრის ნომერში წავიკითხე. ამხ. ვოლოვჩენკო მეტად საინტერესო გამოცდილებას აღწერს. საბჭოთა მეურნეობაში ბარდა სხვადასხვა წესით და თესვის სხვადასხვა ნორმით დათესეს. შედეგი მიღებულია ასეთი:

ფართო მწკრივებად თესვა 45 სმ მწკრივთაშორისებით 20 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 110 კილოგრამის თესვის ნორმით — 22 ცენტნერი ჰექტარზე.

ჩვეულებრივ მწკრივებად თესვა 15 სმ მწკრივთაშორისებით 30 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 270 კილოგრამის თესვის ნორმით — 33 ცენტნერი.

ვიწრო მწკრივებად თესვა 7,5 სმ მწკრივთაშორისებით 60 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 270 კილოგრამის თესვის ნორმით — 42,2 ცენტნერი ჰექტარზე.

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ 15 სანტიმეტრ მწკრივთაშორისებიანი ჩვეულებრივი მწკრივად სათესი მანქანით დათესილი ბარდის მოსავალი 270 კილოგრამის თესვის ნორმით იყო 33 ცენტნერი ჰექტარზე. ამავე დროს 7,5 სანტიმეტრ მწკრივთაშორისებიანი ვიწრო მწკრივებად სათესი მანქანით დათესილი ბარდის მოსავალი 270 კილოგრამის თესვის ნორმით იყო 42,2 ცენტნერი ჰექტარზე, ანუ 9,2 ცენტნერით მეტი. აქედან გამოდის დასკვნა, რომ ბარდის მაღალი მოსავლის მისაღებად მარტო თესლის თესვის ნორმას როდი აქვს მნიშვნელობა. არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ რაც უფრო მეტი თესლი დაითესება ჰექტარზე ნაცვლად გარკვეული მაქსიმუმისა, მოსავალი მით უფრო მაღალი იქნება. საბჭოთა მეურნეობა „პეტროვსკის" გამოცდილება იმას მოწმობს, რომ კარგი მოსავლის მიღებისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს მცენარეებისათვის კვების ფართობის სწორად გამოყენება.

ეს გამოცდილება უნდა გაგიმეორებინათ თქვენ, ამხანაგო კავუნ, და სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ვიწრო მწკრივებად თესვა, შესაძლოა, ბარდის თესვის ძირითადი წესი გახდეს, მაგრამ ეს ფართოდ უნდა შევამოწმოთ პრაქტიკაში.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სათესი მანქანების მწარმოებელი ქარხნების მუშაკები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ უურად არ იღებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოთხოვნილებებს. ისინი ელიან სანამ მათ პირდაპირ მითითებას მისცემენ, თუმცა პრესიდან ცნობილია, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, აგრონომები და ბრიგადირები მოითხოვენ რომ მანქანები ვიწრო მწკრივებად სათესი იყოს. როცა ასეთი სათესი მანქანები არ არის, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯვარედინი წესით თესავენ და თესვაზე ორჯერ მეტ დროსა და საწვავს ხარჯავენ.

დროა მათ თვითონ გამოიჩინონ ინიციატივა — გამოეხმაურონ სოფლის მეურნეობის მუშაკთა მოთხოვნილებებს, ყური მიუგდონ მათს ხმას, დაკმაყოფილონ მოთხოვნა უკეთეს, მეტი წარმადობის მანქანებზე და ამით შესაძლებლობა მისცენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აწარმოონ მეტი პროდუქცია შრომისა და სახსრების ნაკლები დახარჯვით. საჭიროა, რომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ეს მხედველობაში ჰქონდეთ.

„ჩვენს კოლმეურნეობაში, ამხანაგო კავუნ, და საბჭოთა მეურნეობაში, რომელსაც ამხ. ვოლოვჩენკო ხელმძღვანელობს, მიღწეულია შესანიშნავი შედეგები. ისინი გვახარებენ. ადამიანები, რომლებმაც ამას მიაღწიეს, კომუნიზმის ნამდვილი მშენებლები არიან. თავდადებული შრომით მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის გადიდების საერთო-სახალხო საქმეში, რათა შექმნან პირობები წარმოებისა და განაწილების კომუნისტურ წესზე გადასვლისათვის.

მაგრამ, სამწუხაროდ, არის სხვა შედეგებიც. არა მარტო გულისტკივილით, არამედ აღშფოთებითაც კი წავიკითხე მოსკოვის საოლქო გაზეთ „ლენინსკოე ზნამიაში" სტატია „ბაღარა სამყურა", სადაც აღწერილია, თუ როგორ აწარმოებენ მეურნეობას საბჭოთა მეურნეობა „სემიონოვსკოეში". აქ 5.470 ჰექტარი ნახნავიდან 2.959 ჰექტარი უჭირავს მრავალწლიან ბალახებს და 1.861 ჰექტარი — შვრიას. დიდი ფართობები უჭირავს ბალახებს 10-11 წლობით და მათ არ ხნავენ. გასაგებია, რომ ასეთი ბალახები არაფერს არ იძლევა, მიწა ცარიელი რჩება. ეს სტატია შემდეგ გადაბეჭდა გაზეთმა „სელსკაია ჟიზნ". რედაქცია სწორადაც მოიქცა. საჭიროა არა მარტო პროპაგანდას ვუწევდეთ ახალს, არამედ ამასთან ერთად უსმობლადაც ვაკრიტიკებდეთ იმ მეურნეობებს, რომლებიც აფერხებენ კომუნისტურ მშენებლობას. ისეთი მეურნეობა კი, როგორიც არის საბჭოთა მეურნეობა „სემიონოვსკოე", სამწუხაროდ, ერთეული როდია. ასეთი მეურნეობები სხვა რაიონებშიც არის. მათ სათავეში უდგანან ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს კომუნისტებს უწოდებენ, მაგრამ ნამდვილად არიან არა კომუნიზმის მშენებლები, არამედ უბრალოდ სხვათა კმაყოფაზე მყოფნი. ისინი ცუდად მუშაობენ, უყაირათოდ, უდარდელად ეკიდებიან ისეთ საერთო-სახალხო სიმდიდრეს, როგორიც მიწაა, ვერ ამართლებენ პარტიისა და ხალხის ნდობას.

ამიტომ საჭიროა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა ახლა შეამოწმონ საქმის მდგომარეობა ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, შეფასება მისცენ ისეთ მეურნეობებს, როგორიც არის საბჭოთა მეურნეობა „სემიონოვსკოე". საჭიროა წავუყენოთ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს მაღალი პარტიული მოთხოვნები, რათა ისინი გარდაიქმნან და დაიწყონ მუშაობა ისე, როგორც საუკეთესონი მუშაობენ, რომ ისინი მაგალითს იღებდნენ მოწინავეებისაგან, ჩვენ კი გვაკეთებინონ ისეთები, ვისგანაც შეიძლება საუკეთესო ნიმუშების სწავლა. ხოლო თუ ეს მუშაკები არ გამოსწორდებიან, საჭიროა თავიდან მოვიცილოთ ასეთი ხელმძღვანელები, ან იქნებ დავაყენოთ საკითხი მათი პარტიულობის შესახებ. უკიდურეს ერა საპასუხისმგებლო მდგომარეობა, ისინი არათუ არ ზრდიან ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს, არამედ თავიანთი მანკიერი პრაქტიკით ძირს უთხრიან სახალხო დოვლათს, ზიანს აყენებენ კომუნისტურ მშენებლობას.

მაგრამ ნდება საუბარი მოსკოვის მერძეეობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორთან ამხ. სოკოლოვთან. ამ ტრესტში შედის საბჭოთა მეურნეობა „სემიონოვსკოე". ჩემთან საუბარში ამხ. სოკოლოვი უჩიოდა იმას, რომ სახელმწიფომ გაადიდა ფასი საფურაჟე მარცვლისა, რომელსაც საბჭოთა მეურნეობები მეცხოველეობის საჭიროებისათვის ყიდულობენ. თქვენი საქმიანობა, ამხ. სოკოლოვ, მიმართული რომ იყოს არა იქითკენ, რომ რაც შეიძლება მეტი ნაჭამლიჯოთ სახელმწიფოს, არამედ საკუთარი საკვების წარმოების ორგანიზაციისაკენ, თქვენ დიდი ხნის წინათ დაინახავდით და შეცვლიდით მდგომარეობას, რომელიც საბჭოთა მეურნეობა „სემიონოვსკოეში" არსებობს.

ამიტომ თქვენ, ამხ. სოკოლოვ, როგორც ტრესტის ხელმძღვანელი, პარტიის ნდობით აღჭურვილი ადამიანი, საკმაოდ ცუდად გამოიყურებით. და გაზეთი „სელსკაია ჟიზნ" სწორად მიმართავს ოლქის ხელმძღვანელობას, პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. აბრამოვს და მოსკოვის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. კონოტოპს — რას უყურებენ საოლქო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რატომ არ აღკვეთენ ისინი მიწის დანაშაულებრივი გამოყენების, აშკარა უყაირათობის ფაქტებს.

ამჟამად ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი კომუნისტური მშენებლობის დიად ამოცანებს წყვეტენ. ეს ყველა ხელმძღვანელისაგან, დიდი და პატარა ხელმძღვანელებისაგან, ყველა კომუნისტისაგან, კომკავშირელისაგან, თვითეული საბჭოთა ადამიანისაგან მოითხოვს პატიოსნად მოეკიდონ დაკისრებულ საქმეს, გამოიჩინონ ზრუნვა ჩვენი სამშობლოს სიმდიდრის გამრავლებისათვის. ერთ-ერთი ასეთი სიმდიდრეა მიწა. ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მისი რაციონალურად გამოყენება შესაძლებლობას მოგვცემს უმოკლეს ვადებში გადავწყვიტოთ კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა — შევქმნათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე.

ნ. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი.

1961 წ. 7 ოქტომბერი.

ვ. მ. კ ა ვ უ ნ ი — გ. ი. კ უ ზ ი კ ი

სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად

მ ა ღ ა რ ო ე ლ თ ა ს ა ჩ უ ქ ა რ ი



წ ყ ა ლ ტ უ ბ ო. (საკ. კორ.). „საქგუმბრინის" მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი ახალი საწარმოო საჩუქრებით ხვდება პარტიის XXII ყრილობას. გუმბრინის მომპოვებლებმა ჯერ კიდევ 25 სექტემბრისათვის უპატაკეს ცხრა თვის გეგმის შესრულება და თვის ბოლომდე ათასობით ტონა ზეგეგმითი მადანი ამოიღეს.

განვლილ პერიოდში მაღაროელებმა გეგმასთან შედარებით 6,5 პროცენტით შეამცირეს ამოღებული მადნის თვითღირებულება და 5 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. თვითღირებულების შემცირებით მთელი წლისათვის ნაკისრი 15.000 მანეთის ნაცვლად დაზოგილია და შვიდწლედის ფონდში შეტანილია 54.000 მანეთი.

შ ე ნ თ ვ ი ს, ს ა მ შ ო ბ ლ ო ვ ი, შ ე ნ თ ვ ი ს, პ ა რ ტ ი ა ვ!

თ ე ლ ა ვ ი. (საკ. კორ.). თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. 16 ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 18.130 ტონა ყურძენი.

სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის ნაკისრი ვალდებულებები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სოფლების სანიორეს, ართანის, აკურის, კურდღელაურის, იყალთოს, რუისპირის კოლმეურნეობებმა.

უ ჯ ა რ ე ლ ი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა 8.700 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 8.720 ტონა ყურძენი.

ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა, გეგმით გათვალისწინებულ 1.200-ის ნაცვლად, სახელმწიფოს ჩაბარა 1.370 ტონა ყურძენი. ახალსოფლის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს 260 ტონა ყურძენი მიჰყიდა.

ნ ა ლ ე ნ ჯ ი ხ ა. (საკ. კორ.). სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ენგურის ხე-ტყის დაცურების კანტორის კოლექტივმა. აქ ცხრა თვის გეგმა შესრულებულია შემდეგი მაჩვენებლებით: ხე-ტყის დაჭრადებისა — 100 პროცენტით, გამოზიდვისა — 103, მოზიდვისა — 105 პროცენტით.

გასულ პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გეგმასთან შედარებით 1,8 პროცენტით შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, და კანტორამ რამდენიმე ათეული ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია მიიღო.

შრომაში დაწინაურდნენ მეჯალამბრე ა. ქარდავა, ტრაქტორისტები ა. როგავა, ლ. კალმარიოვი, მტვირთავები მ. შონია, შ. შურღაია, მძღოლები ი. სინიავსკი, ტ. წურწუმია.

მ ო ს კ ო ვ ი ს მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო ში ბ რ უ ნ დ ე ბ ი ა ნ

მ ო ს კ ო ვ ი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). დედაქალაქში ხუთ დღეს იმყოფებოდნენ ამერიკა-ევროპის მშვიდობის მარშის მონაწილენი, რაც სან-ფრანცისკო-მოსკოვის მარშრუტით გაიმართა. აქ ისინი შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეებს საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის სახლში, მოსკოვის უნივერსიტეტში, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტში, საათის პირველ ქარხანაში, ესაუბრნენ ნ. პ. ხრუშჩოვს, გამართეს პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტებისათვის.

სან-ფრანცისკო-მოსკოვის მშვიდობის მარშის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ფართოდ გაეზიარებინათ მოსაზრებანი განიარაღების საკითხებზე დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. მათ დაურიგეს საბჭოთა ადამიანებს რამდენიმე ათეული ათასი ფურცელი, რომელშიც ჩამოყალიბებულია მათი მშვიდობის დაცვის იდეები.

მშვიდობის მარშის მონაწილეებთან საუბრებში საბჭოთა ადამიანებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, მის მიერ წამოყენებული საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამას და ინიციატივას გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ.

დღეს სან-ფრანცისკო-მოსკოვის მშვიდობის მარშის მონაწილეები მიიღო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გორგაძემ. მ. პ. გორგაძემ უამბო სტუმრებს საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ესწრაფვის სრულ განიარაღებას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ, რომლის მიზანია განამტკიცოს საყოველთაო მშვიდობა.

მარშის მონაწილენი გაეცნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს. დღეს მარშის მონაწილეთა ნაწილი სამშობლოში ბრუნდება, მეორე ჯგუფი მოსკოვიდან ხვალ გაემგზავრება.

წინასაყრილოგო ტრიბუნა

კომუნისტთა ცხოვრების კანონი

აქეთივისეთის დიდი საქმე

საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს. სკკპ პროგრამის პროექტის ეს აღმფრთოვანებელი სიტყვები ახალ ძალას და ენერგიას მატებს ჩვენი სამშობლოს თვითეულ მოქალაქეს.

პარტიის დაუცხრომელი ზრუნვა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობისათვის დიდი ამოცანების წინაშე აყენებს პარტიულ ორგანიზაციებს. ისინი მოწოდებული არიან დარაზმონ მშრომელთა შემოქმედებითი ძალები ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის, კიდევ უფრო აამაღლონ პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა.

სკკპ პროგრამის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ, რომელიც სახელმწიფო, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფასიანი აპარატის შემცირებას ითვალისწინებს, ცხადია, ძირეულ ორგანიზაციებში ხელმძღვანელ სამუშაოებზე ბევრი ახალგაზრდა, გამოუცდელი, მაგრამ მონდომებული ამხანაგი აღმოჩნდება.

ბევრ მათგანს გულით სურს და დიდი ხალისით იწყებს მუშაობას, მაგრამ გამოუცდელობის გამო უძნელდება კრებებისათვის საკითხების შერჩევა, მათი მომზადების საქმეში აქტივის ჩაბმა, ოქმებისა და სხვა დოკუმენტების გაფორმება, პარტიული დავალებების განაწილება, სამუშაო გეგმების შედგენა და სხვა. მას როცა ელასპარაკებიან, ეთათბირებიან, ინსტრუქტაჟს უტარებენ, ერთი შეხედვით, ყველაფერი გასაგებად ეჩვენება. ზოგჯერ რაიმე გაუგებაროც რჩება, მაგრამ მორცხვობს და განმარტებისათვის არავის აწუხებს. ამიტომ ადგილზე პრაქტიკულ მუშაობას რომ იწყებს, სიძნელეებს აწყდება და მუშაობას თავს ვერ არომევს.

პარტიამ სწორად და დროულად დაადგინა ფასიანი აპარატის შემცირებასთან ერთად კომუნისტების ფართოდ მოზიდვის საკითხი შტატგარეშე ინსტრუქტორებად საზოგადოებრივ საწყისებზე. ეს უდავოდ დიდად შეუწყობს ხელს პარტიული მუშაობის გაუმჯობესებას.

ცოტა როდი პენსიონერები, ყოფილი პარტიული და კომკავშირული მუშაკები, რომლებსაც მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ და სიამოვნებით მიიღებენ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასეთ მუშაკთა გამოძებნა ყოველთვის შეიძლება. ამაზე ლაპარაკობს ჩემი გამოცდილებაც.

ერთი წლის წინათ, როცა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში გამომიძახეს და პარტიის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომში შტატგარეშე ინსტრუქტორად მუშაობის დაწყებაზე მესაუბრნენ, ამაზე უსიტყვოდ დავთანხმდი. ბიუროზე დამტკიცების დღიდან სისტემატურ კავშირში ვარ რაიკომთან და ყოველთვის ვიღებ დავალებებს სხვადასხვა საკითხებზე, რომელთა შესრულებას დიდი მონდომებით და პასუხისმგებლობით ვეკიდები.

ადგილზე მისვლისას ჩემი მუშაობა მართო პარტიული ორგანიზაციის შემოწმებით კი არ ამოიწურება, არამედ ვეთათბირები მდივნებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, ვუზიარებ ჩემს გამოცდილებას, ვეხმარები საქმის სწორად წარმოებაში.

რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორად ჩემი ერთ წელზე მეტი ხნის მუშაობის მანძილზე რაიონის ბევრი პირველადი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაობა შევამოწმე და არა ერთს მათგანს ადგილზე გავუწიე დახმარება.

მარტო მიმდინარე წლის რვა თვეში შევამოწმე და ადგილზე დახმარება გავუწიე 20-ზე მეტ პარტიულ ორგანიზაციას. ხუთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია პარტიის თბილისის კომიტეტის დავალებით შევამოწმე. მონაწილეობა მივიღე ექვსი პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების ჩატარებაში, ორმოცამდე მშრომელის საბინაო პირობების შესწავლაში, აგრეთვე თბილკვებავაჭრობის ქსელის რამდენიმე სავაჭრო ობიექტის შემოწმებაში.

პარტიული და საზოგადოებრივი დავალებების შესრულება სრულიადაც არ მიშლის ხელს სამსახურებრივ საქმიანობაში. პირიქით, ორივე საქმის ერთდროულად შესრულება ჩემში უფრო მეტ ენერგიასა და ხალისს იწვევს.

ვფიქრობ, შტატგარეშე ინსტრუქტორის მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნებოდა და მეტ დახმარებას გაუწევდა იგი პარტიულ კომიტეტებს, რომ ეწყობოდეს მათი სემინარები. ისევე, როგორც შტატიანი ინსტრუქტორები, ისინი ხშირად უნდა ხდებოდნენ მდივნებს, განყოფილებათა გამგეებს, უშუალოდ მათგან იღებდნენ დავალებებს. საჭიროა აგრეთვე შტატგარეშე ინსტრუქტორის მიერ შემოწმებული მასალების განხილვის დროს იწვევდნენ მას თათბირებზე, ბიუროს სხდომებზე, ასწრებდნენ აქტივის კრებებზე.

ა. ხაშმელაშვილი,
პარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის საორგანიზაციო-განყოფილების შტატგარეშე ინსტრუქტორი.

შენიშვნები, წინადადებები

დიდი მონდომებით სწავლობენ და საქმიანად განიხილავენ სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტებს — ჩვენი ეპოქის ამ უმნიშვნელოვანეს მარქსისტულ-ლენინურ დოკუმენტებს — მიათურელი მშრომელები. განხილვის მსვლელობაში მათ წამოაყენეს მთელი რიგი წინადადებები. აი ზოგიერთი მათგანი:

თვალუფეთის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ნ. ბიწაძემ გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ მომწიფდა სასოფლო ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის გაუქმების საკითხი. მისი აზრით, სოფლის ყველა კომუნისტი უმჯობესია ირიცხებოდეს საკოლმეურნეო ან საბჭოთა მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციებში. ეს ხელს შეუწყობს კომუნისტთა აქტიურ მონაწილეობას მატერიალური დოვლათის შექმნაში.

ხორცისა და რძის მრეწველობის კომბინატის პარტორგანიზაციის კრებაზე კომუნისტმა ტ. ლაშხმა თქვა: წესდების პროექტში, იქ, სადაც ლაპარაკია პარტიის წევრობის კანდიდატების წევრებად მიღების შესახებ, შეტანილ იქნას ასეთი შესწორება: პარტიის წევრობის ის კანდიდატები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დავალებათა შესრულებაში — პარტიის წევრად შეიძლება მიღებულ იქნან ერთ წელზე ნაკლები საკანდიდატო სტაჟით.

კომუნისტმა თ. გურჯაძემ (ლენინის სახელობის მაღარო) შემოიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ სკკპ წევრობიდან დანაშაულისათვის კანდიდატად ჩამოყენებული, პარტიის წევრად მიღებულ იქნას ახალი სტაჟით.

ვ. თაბაგარმა (პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველადი პარტორგანიზაცია) წამოაყენა წინადადება, რომ პირველადს პარტორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნები მოეწყოს ლენინგრადის კენჭისყრით.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ერთიანი პარტბილეთისა და პარტსტატისტიკის სექტორის გამგემ პ. ციცვაძემ გამოთქვა ასეთი აზრი:

— წესდებაში უნდა იყოს შენიშვნა, როგორ მოიქცნენ პარტორგანიზაციები იმ შემთხვევაში, როცა სკკპ წევრობის კანდიდატებს ესაჭიროებათ ხანგრძლივი სტაციონარული მკურნალობა ან როცა დანაშაულისათვის ედებათ სასჯელი საალრიცხო ბარათში შეტანით, რადგანაც წესდების პროექტი აღარ ითვალისწინებს საკანდიდატო სტაჟის გაგრძელებას.

— წესდების პროექტის მე-9 პარაგრაფი, სადაც ლაპარაკია პარტიის წევრის კანდიდატად ჩამოყენებაზე, იკითხებოდეს ასე: „აუცილებელ შემთხვევაში პარტიულ ორგანიზაციას შეუძლია პარტიული სასჯელის ზომის სახით გადაიყვანოს პარტიის წევრი კანდიდატად ერთი წლის ვადით“.

მუშა ახალგაზრდობის მესამე საშუალო სკოლის პარტორგანიზაციის მდივანმა მ. დუშუაშვილმა წამოაყენა წინადადება იმის შესახებ, რომ ყველა პირველად პარტორგანიზაციას მიენიჭოს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება.

გ. გაფრინდაშვილი,
საქართველოს კპ ბიათურის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

ეს ნარხმოენებელია საჩუქარი

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი აღმაფრთოვანებელ დღეებს განიცდიან. რამდენიმე დღის შემდეგ ჭაღარა კრემლის ახალ შენობაში მუშაობას დაიწყებს ჩვენი კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა.

ყრილობის აღსანიშნავ საპატიო ვახტზე დგას თბილისის სახეში ჩარხების ქარხნის კოლექტივიც. ჰაბარა ქარხანა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ სახელსონრებს ჰგავდა, გადაიქცა უახლესი ტექნიკით აღჭურვილ მოწინავე საწარმოდ. ახალ კორპუსებში დადგმულია მოწყობილობა, რომელიც საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომუშავების შესაძლებლობას იძლევა.

სახეს ჩარხებს „3110-მ“, რომლებსაც ეს ქარხანა უშვებს, უკვე დიდი ხანია იცნობენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ხოლო ამჟამად ქარხნის კოლექტივი ამზადებს ჩარხებს პარტიას საზღვარგარეთ გასაგზავნად.

საუკეთესოდ შრომობს ქარხნის კოლექტივი. მიმდინარე წლის როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციის ცხრა თვის გეგმა შესრულებულია. ქარხნის საამწყობო ხაფანგში ჩამწყრივებულია ახალი სალებავით მბრწყინავი ჩარხები. ეს ჩარხმშენებელთა საწარმოდ საჩუქარია სკკპ XXII ყრილობისადმი.

სურათებზე: (ზემოთ) — ზეინკლები ო. ზეიკიძე (მარცხნივ) და ნ. ლეჟავა გაფაფავენ ახალ ჩარხებს; (ქვემოთ) — ხარატი ო. ნოზაძე, რომელიც სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ცვლის ნორმებს.

ტექსტი და ფოტო ვლ. გინზბურგისა.





კომუნისტთა ცხოვრების კანონი

დიდი ბელადი და მასწავლებელი ვ. ი. ლენინი, ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის ორგანიზაციულ საფუძვლებს რომ იმეშაგებდა, დიდ ყურადღებას უთმობდა პარტიის შემადგენლობის საკითხს, ემყარებოდა რა იმას, რომ „**პარტიის ყოველი წევრი პასუხისმგებელია პარტიისთვის და პარტია პასუხისმგებელია ყოველი წევრისათვის**“.

ჩვენი პარტიის დიადი და კეთილშობილური იდეებისათვის, მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში კომუნისტები არ ზოგავენ თავიანთ ძალებს, ენერგიასა და ცოდნას, ხოლო თუ საჭიროა, როცა გარემოება მოითხოვს, თვით სიცოცხლესაც.

ამჟამად, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ღირსეულად ეგებება მშობლიური პარტიის XXII ყრილობას, მშრომელები დიდი აღფრთოვანებით იხილავენ და სწავლობენ თანამედროვეობის უდიდეს დოკუმენტებს — სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტებს, კომუნისტები სათავეში უდგანან დიდ შრომითს აღმავლობას და ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე იმყოფებიან.

კომუნისტური პარტია თავის რიგებში მოწონავე, ყველაზე შეგნებულ საბჭოთა ადამიანებს იღებს. პარტიის წევრებად მიღების შემდეგ პარტიული ორგანიზაციები დიდ, ყოველდღიურ აღმზრდელობითს მუშაობას ეწევიან ახალგაზრდა კომუნისტებთან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსადმი ერთგულების სულისკვეთებით აღსაზრდელად.

კომუნისტი მოვალეა ფიზიკურეს ყოველისა თვალსაჩინეველი უფრთხილდებოდეს პარტიის მონოლითურ ერთიანობას, მისი რიგების მჭიდროდ დარაზმულობას, ვინაიდან ეს არის მისი ძალისა და ძლიერების მთავარი წყარო. იგი უნდა იყოს საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწე, თავდადებული, ინიციატივიანი მებრძოლი პარტიის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის, მისი პოლიტიკის სწორად ტარებისათვის. კომუნისტი ყველაფერში წინ უნდა იყოს: შრომაში, სწავლაში, საზოგადოებრივ მუშაობაში. ამისათვის იგი მოვალეა ბრძოლა იცოდეს საკმე, რომელიც დაეკისრებული აქვს, გამოირჩინოს ცხოველი შემოქმედება, სიმტკიცე და გულმოდგინება მიზნის მიღწევაში. კომუნისტს უნდა ახასიათებდეს მკაცრი პარტიული დისციპლინიანობა, მას გული უნდა შესტკიოდეს პარტიის საქმისათვის, იგი ბოლომდე უნდა ებრძოდეს ყველა ნაკლს, ყოველ ღონისძიებით ავითარებდეს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, მუდამ იყოს კომუნისტური პარტიის პრინციპული, პოლიტიკურად გამოწრთობილი და ფხიზელი მებრძოლი. „სახელი და დიდება კომუნისტებს,—ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — რომლებიც კი არ ურიგდებიან, არამედ ნამდვილად ებრძვიან ბოროტმოქმედებას, უყაირათობას, ამხილებენ დაუდგარ მუშაკებს“. ეს მოითხოვნი რომ შეასრულოს, კომუნისტი ყოველდღე ბეჯითად უნდა სწავლობდეს, ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, შეეძლოს მისი გამოყენება თავის ყოველდღიურ მუშაობაში. ყოველდღიურ აღმზრდელობითს მუშაობას რომ აწყობს, ჩვენი კომუნისტური პარტია ითვალისწინებს, რომ „კაპიტალიზმის გადმონაშთს შეუძლიათ თავი იჩინონ კომუნისტებს შეგნებასა და ყოფაქცევაშიც. პარტიის რიგების საწმინდისა და სიმტკიცის შენარჩუნების ინტერესები მოითხოვს შეურიგებელ დამოკიდებულებას ისეთი ფაქტებისადმი, რომლებიც პარტიის შინაგანი ცხოვრების წესების საწინააღმდეგოა. უეჭველია, რომ პარტიული ცხოვრების ნორმებისაგან ყოველგვარი გადახრა, პარტიული დისციპლინის დარღვევა ჩვენთან, უაღრესად პრინციპულ დამბობის ხვდება კომუნისტების მხრიდან.

მაგრამ ამასთანავე სწორი არ იქნებოდა ადამიანის გარიცხვა პარტიიდან მცირე დანაშაულისათვის. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ გამოიყენოს აღმზრდელობითი მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები და ზეგავლენის ყველაზე მკაცრ ზომებს მიმართოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამოწურავს დარწმუნების მეთოდებს.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში მკვეთრად შემცირდა პარტიიდან გარიცხულთა რიცხვი.

ეს ნათლად მოწმობს, რომ გაიზარდა კომუნისტების პარტიული წრთობა, რომ დარწმუნების მეთოდს მართლაც მთავარი ადგილი უჭირავს აღმზრდელობითს მუშაობაში.

ეჭვი არ არის, რომ რაც უფრო გაძლიერდება კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, გაუმჯობესდება ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობა და უკეთ მოეწყობა პარტიაში მიღების საქმის ხელმძღვანელობა, მით უფრო იშვიათი იქნება საჭირო გახდეს კომუნისტის მიცემისა პარტიულ პასუხისგებაში.

პარტიული ორგანოები, რომლებიც ეფიდეს მუშაობას ეწევიან როგორც პარტიიდან წარსულში გაძევებული კომუნისტების აპელაციების შესამოწმებლად, ისე ამჟამად შეტანილ განცხადებათა განსახილველად, მოწოდებული არიან ფხიზლად დაიცვან ჩვენი პარტიის რიგების სიწმინდე, გამოიჩინონ მაღალი სიფხიზლე და პრინციპულობა ადამიანის პარტიულობასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში. უაღრესად სერიოზული დაგმობის ღირსია ფაქტები, როცა კომუნისტებს დაუსაბუთებელ და უსაფუძვლო ბრალდებებს უყენებენ. ამასთან ერთად პარტიას შეიძლება დიდი ზიანი მოუვიდეს, თუ მის რიგებში დაკოვებულ იქნებიან ისინი, ვინც კომუნისტის მაღალი წოდების ღირსი არ არის, ვინც მოქმედებს პარტიული ცხოვრების ნორმების საწინააღმდეგოდ, ვინც ცდილობს თავისი კარიერისტული მიზნებისათვის გამოიყენოს ჩვენი პარტიის ყურადღება და გულისხმიერება.

უნდა ითქვას, რომ ულირსი ადამიანის სწორად და დასაბუთებულად გარიცხვა პარტიიდან ნიშნავს პარტიული რიგების განმტკიცებას, უპარტიოთა თვალში ჩვენი პარტიის ავტორიტეტს კიდევ უფრო ამაღლებას.

როცა პარტიულ ორგანოებს აპელაციით მიმართავენ პარტიის ზოგიერთი ყოფილი წევრი, რომლებიც გარიცხული იყვნენ იმისათვის, რომ სხვადასხვა ანტიპარტიულ დაჯგუფებებში იმყოფებოდნენ, რა თქმა უნდა, ასეთი აპელაციები და განცხადებებიც ობიექტურად და ყოველმხრივ უნდა იქნას განხილული. მაგრამ ამ აპელაციებისა და განცხადებების განხილვისას არ შეიძლება დავიიწყოთ მთავარი, სახელდობრ ის, რომ იმ შეურიგებელი და პრინციპული პოზიციის სისწორე, რომელიც ჩვენს პარტიას ეკავა ტროცკისტებთან და სხვა უცხონისტებთან ბრძოლაში, დადასტურებულია საბჭოთა საზოგადოების განვითარების მთელი მსვლელობით, კომუნიზმის მშენებლობაში კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გამარჯვებით. ჩვენს პარტიას არასოდეს არ შეუცვლია და არც შეიძლებოდა შეეცვალა თავისი დამოკიდებულება ლენინისმისაგან მტრულ მიმდინარეობებთან. რა თქმა უნდა, არ აბრალებს საფუძველი იმისათვის, რომ დადასინჯოს გადაწყვეტილებანი პარტიიდან სხვადასხვა ანტიპარტიულ დაჯგუფებათა მონაწილეობის გარიცხვის შესახებ, თუ ბრალდება დასაბუთებულა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიულ კომისიაში ამას წინათ განხილულ იქნა საყურადღებო განცხადება ს. კაკალეიშვილისა, რომელიც 1927 წელს პარტიიდან გარიცხული იყო კონტრრევოლუციური, ტროცკისტული მუშაობისათვის; 1930 წელს იგი პარტიაში აღდგენილ იქნა შეწყვეტილი სტაჟით, ხოლო 1937 წელს გარიცხულ იქნა პარტიიდან, როგორც ფარული ტროცკისტი. შემოწმებამ დადასტურა წაყენებული ბრალდება. და იგი აღდგენილ არ იქნა პარტიის რიგებში.

ანდა ავიღოთ, მაგალითად, ჭელიძე. იგი პარტიის რიგებიდან გარიცხულ იქნა ჯერ კიდევ 1928 წელს, როგორც გამოუსწორებელი ოპოზიციონერი, რომელიც ფრაქციულ მუშაობას ეწეოდა პარტიის ხაზის წინააღმდეგ. საკითხავია, მრავალი წლის შემდეგ რატომ უნდა გადასინჯულიყო საქმე კიკალეიშვილისა და ჭელიძისა, რომლებიც სწორად იყვნენ გარიცხული პარტიიდან, ისინი ხომ მრავალი წლის მანძილზე დიდ ზიანს აყენებდნენ პარტიას. ამიტომ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მათ უარი უთხრა პარტიაში აღდგენაზე.

ცოტა ბოროტების მოტანა როდი შეუძლიათ პარტიის რიგებში შეპარულ ცალკეულ ცილისმწამებლებსა და დემაგოგებს. ისინი სრულიად უსაფუძვლოდ სდებენ ბრალს ცალკეულ მუშაკს, სერიოზულ დანაშაულობებში. კომუნისტური პარტია მუდამ იბრძოდა და იბრძვის ცილისმწამებლების, დემაგოგებისა და სიცრუის წინააღმდეგ. მაგრამ ზოგჯერ კიდევ გვხვდებიან ეგრეთწოდებული „მამხილებლები“, რომლებიც ცდილობენ სახელი გაუტეხონ პატიოსან ადამიანებს. მართალია, ისინი ერთეულები არიან, მაგრამ შეუძლიათ მოწამლონ ატმოსფერო ამა თუ იმ პარტორგანიზაციაში ეჭვიანობისა და ბოროტების შხამით. ამას წინათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით პარტიის რიგებიდან გარიცხულ ბ. არბოლიშვილი. იგი წინათ ბორჯომის საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტში მუშაობდა და დიდხანს ეწეოდა ცილისმწამებლური ხასიათის განცხადებათა ოხშივარ რაიონის ხელმძღვანელობის მიმართ. მოითხოვდა წინანდელ სამუშაოზე აღდგენას. შემოწმებით არ დადასტურდა ეს ბრალდებები.

უეჭველია, რომ საქმეთა გარჩევის დროს საჭიროა ყოველმხრივ და განსაკუთრებით გულმოდგინედ შემოწმდეს, სწორად თუ არასწორად დასჯილია ადამიანი, ღირსია თუ არა პარტიიდან გარიცხვისა, ხომ არ გამოიჩინეს მის მიმართ უსულგულობა, ფორმალიზმი. ამასთან, როცა კომუნისტი არ ასრულებს პარტიის დავალებას, მის მიმართ არ უნდა იყოს არავითარი შეფერვა.

მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა აპელაცია გ. ვ. ნატროშვილისა, რომელიც პარტიის ლაგოდეხის რაიკომმა ჯერ კიდევ 1956 წლის 18 სექტემბერს პარტიიდან გარიცხა თვალსაჩინეოსა და სახელმწიფოს მოტაცებისათვის, როცა იგი სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ გამჯობინებ თავმჯდომარე იყო. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გ. ვ. ნატროშვილს უარი ეთქვა პარტიის წევრად აღდგენაზე, როგორც პარტიიდან სწორად გარიცხულს.

კომუნისტები ყველაფერში მუდამ თავმდაბალი, უბრალო და გულისხმიერი უნდა იყონ, მათ მუშაობი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ მასებთან, რა მაღალი პოსტიც უნდა ეკავოთ. აი რატომ არის, რომ პარტიულ ორგანიზაციებში მკაცრად და სამართლიანად გმობენ ისეთ დანაშაულს, როგორიც არის კრიტიკის ჩახშობა, ბიუროკრატიზმი, ადამიანებისადმი კაზიონური დამოკიდებულება, ყოყოჩობა.

თვით თავისი ბუნებით პარტია ვერ შეურიგდება წარსულის გადმონაშთებს, პარტიული მორალის დარღვევას. პარტიულობასთან საერთო არა აქვს რა ისეთ მახინჯ მოვლენებს, როგორიც არის ანგარება, ლოთობა, მორალურ-საყოფაცხოვრებო გახრწნა და სხვ. პარტიაში შემოხვევით მოხვედრილად უნდა ჩაითვალოს ის ადამიანები, რომლებიც ანგარებით მიზნით ბოროტად იყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას, ანიავებენ, ითვისებენ და ხელყოფენ სოციალისტურ საკუთრებას. ამიტომ სპირითა გაძლიერდეს აღმზრდელობითი მუშაობა კომუნისტებს შორის, რომლებსაც მინდობილი აქვთ მატერიალური ფასეულობანი, გაუძლიერდეთ მათ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. ამასთან ერთად პარტიულ ორგანიზაციამ მიტ ყურადღებას უნდა უთმობდეს კომუნისტების ქცევას. მათს მორალურ სახეს ყოფაცხოვრებაში.

ერის შემთხვევები, როცა კომუნისტები ვერ ამართლებენ პარტიის ნდობას და ატყუებენ სახელმწიფოს, არღვევენ საბჭოთა კანონებს. მაგალითად, უმაღლესი განათლების მქონე ო. ი. რუხაძე პარტიის ზესტაფონის რაიკომმა პარტიის წევრობის კანდიდატობიდან გარიცხა მიწათსარგებლობის წესების დარღვევებისა და კოლმეურნეობის სოსტი ხელმძღვანელობისათვის. შემოწმებით გამოირკვა, რომ, მუშაობდა რა 1959-1961 წლებში სოფელ ალავერდის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, იგი ბოროტად იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, ეწეოდა თვალსაზრდეას. თვით ო. რუხაძის მითითებით ფერმის გამგე ვ. საყვარელიძეს დაეთალა შეედგინა ფიქციური დოკუმენტი წველადობის ხელოვნურად 700 ლიტრით გადიდების შესახებ 1960 წლის მაისში. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ ო. რუხაძემ ისარგებლა თავისი მდგომარეობით და მიაღწია კოლმეურნეთა სიერთო კრების გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ თავისი საკარმიდამო ნაკვეთი გაეცვალა საკოლმეურნეო მასიაში მდებარე ნაკვეთზე. სადაც მან ორსართულიანი სახლი აიშენა. უეჭველია, ასეთ წამგლეჯებსა და მატყუარებს, თუმცა ისინი ერთეულები არიან, ადგილი არ უნდა ჰქონდეთ პარტიაში. პარტიის ზესტაფონის რაიკომს (ყოფილ პირველი მდივანი გ. ხუსკივაძე) ასეთი შეუმოწმებელი ადამიანი არ უნდა მიეღო 1959 წელს პარტიის წევრობის კანდიდატად და რეკომენდაცია არ უნდა მიეცა მისთვის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ასარჩევად.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშად დარღვევის, საზოგადოებრივი მიწების მასობრივად განიავების, სახელმწიფოს მოტაცებისა და საფინანსო დისციპლინის დარღვევისათვის პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით პარტიის რიგებიდან გარიცხულ არიან კოლმეურნეობა „სიხარულის“ თავმჯდომარე კ. ა. სეფერიანი და კოლმეურნეობა „კოლხიდის“ თავმჯდომარე გ. ე. თოფურია.

ცხოგილია, რომ პარტიიდან კომუნისტის გარიცხვის საკითხი, ჩვენი კომუნისტური პარტიის წესდებით, უნდა გადაწყვეტის იმ პირველადი პარტორგანიზაციის საერთო კრებამ, რომელშიც იგი აღრიცხვაზე იმყოფება. პირველადი პარტიული ორგანიზაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას განიხილავს პარტიის რაიონული ან საქალაქო კომიტეტი და ამ გადაწყვეტილებას ძალა ენიჭება, როცა მას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, ან საოლქო კომიტეტი დამტკიცებს: ასეთი თანმიმდევრობა უეჭველია ამცირებს შეცდომების რიცხვს და არასწორი გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას იძლევა. სკკპ XX და XXI ყრილობების შემდეგ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო და უფრო ამაღლებენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკურ აქტივობას. საჭიროა აგრეთვე გაძლიერდეს მათი როლი კომუნისტების მუშაობასთან და ქცევასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის დროს. ამაზე მით უფრო უნდა ითქვას, რომ ზოგან დამკვიდრდა არასწორი პრაქტიკა პერსონალური საქმეების განხილვისა უშუალოდ პარტიის რაიონულ, საქალაქო და თვით საოლქო კომიტეტებში პირველადი პარტიული ორგანიზაციებისათვის გვერდის ავლით. უეჭველია, თუ საკითხი ეხება პარტიის რაიონული, საქალაქო ან საოლქო კომიტეტის წევრს, ეს სკკპ წესდებას შეესაბამება. ყველა დანარჩენ შემთხვევაში კომუნისტის ქცევის საკითხის განხილვა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისათვის გვერდის ავლით პარტიის წესდების დარღვევად უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში ამ საკითხს ვეხებით არა იმიტომ, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია კარგავს თავის საწესდებო უფლებას და შესაძლებლობა ერომეავ ცალკეულ მაგალითებზე აღზარდოს სხვა კომუნისტები, არამედ იმიტომ, რომ ეს პრაქტიკა საკითხის სწორ გადაწყვეტას არ უწყობს ხელს.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჩვენი პარტიის საფუძველია. ადამიანი თავის პარტიულ ცხოვრებას იწყებს გარკვეულ პირველად პარტიულ ორგანიზაციაში და მის რიგებში იბრძვის ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. პირველადი პარტორგანიზაცია კარგად იცნობს თვითეულ კომუნისტს, მის ღირსება-ნაკლოვანებებს. მას შეუძლია უფრო სწორად და ობიექტურად შეაფასოს, თუ რა გააკეთა ამ კომუნისტმა პარტიისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის პარტიის ზოგიერთ რაიკომს შესაძლებლად მიაჩნია ცალკეული კომუნისტების პერსონალური საქმეთა განხილვა უშუალოდ პარტიის რაიკომში, პირველადი პარტორგანიზაციის გვერდის ავლით. ასე მოიქცნენ პარტიის ხობის, საგარეჯოს, საჩხერის და ზოგიერთი სხვა რაიკომები და პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტი. აქვე უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მითითებისა ცალკეული კომუნისტების პერსონალური საქმეთა პირველადი პარტორგანიზაციების გვერდის ავლით განხილვის დაუშვებლობის შესახებ, პარტიის საჩხერის რაიკომმა ამას წინათ მაინც განიხილა კომუნისტ ა. გ. ტოგოლინის საქმე პირველადი პარტორგანიზაციის გვერდის ავლით და გარიცხა იგი პარტიიდან.

პარტიის ზოგიერთ რაიონულ, საქალაქო და თვით საოლქო კომიტეტებში არის კომუნისტების პერსონალური საქმეთა განხილვის საწესდებო ვადების უხეშად დარღვევის ფაქტები. არის შემთხვევები, როცა პარტიის რაიონული, საქალაქო კომიტეტები საქმეებს განიხილავენ დიდი დაგვიანებით პირველადი პარტორგანიზაციის გადაწყვეტილების შემდეგ, ზოგჯერ კი კომუნისტების პერსონალურ საქმეებს განიხილავენ პასუხისგებაში მიცემულთა დაუსწრებლად. ასეთი დარღვევები დაშვებული იყო პარტიის სამტრედიის, ზესტაფონის, გეგეჭკორის რაიკომებში, თბილისის 26 კომისრის რაიკომში.

გ. ა. პაპუაშვილის და ნ. ტაბატაძის (პარტიის ხაშურის რაიკომი), ე. ი. კობერიძის (პარტიის ლაგოდეხის რაიკომი) და ზოგიერთ სხვათა პერსონალურ საქმეებში არ არის პარტიულ პასუხისგებაში მიცემულთა პირადი ახსნა-განმარტება.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ფაქტები, როცა პარტიის რაიონული, საქალაქო კომიტეტები და პირველადი პარტორგანიზაციებიც კი პერსონალურ საქმეთა განხილვისას სამუშაოდან ხსნიან პარტიულ პასუხისგებაში მიცემულ კომუნისტებს, როცა ეს სულაც არ არის საჭირო, ხოლო თუ იგი მოხსნილ უნდა იქნას თავისი ადგილიდან, საჭიროა ზრუნვა მათი შრომითი მოწყობისათვის სხვა ადგილზე.

პარტიის ჩხოროწყუს რაიკომმა პარტიის რიგებიდან გარიცხა და სამუშაოდან მოხსნა ი. დ. შენგელია ყოფაცხოვრებაში თავდაუმჯერელი ქცევისათვის, ამასთან, როგორც დამატებითი შემოწმებით გამოირკვა, მისი ბრალდება უსაფუძვლო იყო და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით პარტიის რაიკომის გადაწყვეტილება ი. დ. შენგელიას შესახებ გაუქმებულია, როგორც არასწორი.

უნდა აღვნიშნოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის კიდევ ერთი მხარე — პარტიული სასჯელის მოხსნა. უეჭველია, თუ ადამიანი გამოსწორდა, დაამტკიცა, რომ უნარი შესწევს გამოსწოროს თავისი შეცდომები, მას უნდა მოეხსნას სასჯელი. არის ფაქტები, რომ ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ამას ფორმალურად ეკიდებიან და პარტიული სასჯელის მოხსნის საკითხებს დიდხანს არ განიხილავენ.

როგორც ცნობილია, საქართველოს კპ რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომიტეტებში კომუნისტების პერსონალური საქმეებს კომიტეტის ბიუროზე განსახილველად საორგანიზაციო განყოფილებები ამზადებენ

არტურ დინის მოკრძალებითი პესიმიზმი



ნიუ-იორკი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ნაშუადღევს გამმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომა. უნდა განეხილათ საკითხი პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად გადაცემული დღის წესრიგის პუნქტების განხილვის წესრიგის შესახებ. თუმცა კომიტეტში დისკუსია წმინდა სპეციალურო ხასიათისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ დელეგატთა პირველივე გამოსვლების შემდეგ გამოვლინდა ორი მკვეთრად საწინააღმდეგო მიდგომა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემისადმი, რომელიც წამოყენებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის წინაშე, — საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხისადმი.

პირველმა სიტყვა აიღო ამერიკის წარმომადგენელმა არტურ დინმა, რომელმაც მთელი თავისი მჯელობა მოახმარა იმას, რომ დაადასტურებინა საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხის განხილვის „საჭიროება“ უკანასკნელ ხანში. მან შესთავაზა კომიტეტს დაიწყოს განხილვა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციების მიერ შეტანილი პუნქტისა, რომელსაც უწოდებენ „ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების დადების გადაუდებელ საჭიროების“. ამასთან იგი დაჟინებით მოითხოვდა განეხილათ ეს კერძო საკითხი განიარაღების მთელი პრობლემისაგან განცალკევებით. დინი ამბობდა, რომ „საყოველთაო განიარაღების გზა გრძელი და რთული“, რომ „ეს ამოცანა მეტად რთული და დიდია, რათა დაუშვათ ზედმეტი დაჩქარებულობა“. მან ისიც კი განაცხადა, რომ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის განხილვა განიარაღების კარდინალურ პრობლემასთან ერთად შეიძლება „ძმას ნიშნავდა, რომ „სამუდამოდ დაგვესამარებინა“ იგი. დელეგატები განაცვიფრა ამერიკის წარმომადგენლის ასეთმა მოჩვენებითმა პესიმიზმმა და იმან, რომ მას აშკარად არ სურს საქმიანად მოეკიდოს უმნიშვნელოვანეს პრობლემას, რომლის გადაჭრა ერთადერთი სწორი გზაა.

მიტინგი ჰავანაში

ჰავანა, 7 ოქტომბერი. (საკდესი). ასეულ ათასობით კუბელი, რომლებიც გუშინ შეიკრიბნენ პრეზიდენტის სასახლის წინა მოედანზე გამართულ მიტინგზე, აღფრთოვანებით შეხვდა პრეზიდენტ ოსვალდო დორტიკოსს. კუბის პრეზიდენტი მეთაურობდა თავისი ქვეყნის დელეგაციას სამხედრო ბლოკებისადმი მიეკრობელ სახელმწიფოთა კონფერენციაზე ბელგრადში, ხოლო შემდეგ ოფიციალურ ვიზიტად ეწვია ჩეხოსლოვაკიას, საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს.

გულითადად მიესალმა ოსვალდო დორტიკოსს პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო.

თავის სიტყვაში მან აღნიშნა, რომ ამერიკის იმპერიალიზმი ახალ ხრიკებს ამზადებს რევოლუციური კუბის წინააღმდეგ. ახლა იგი მიმართავს მორიგ მანევრს, რომლის მიზანია კუბის იზოლაცია ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებისაგან. ფიდელ კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ ამ მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობით შეთითხნილია ყალბი მსალები კუბის მთავრობის ეგრეთწოდებული „ძორგამომთხრელი მოქმედების“ შესახებ ლათინურ ამერიკაში. მანვერის ავტორთა შთანაფიქრით, ეს დოკუმენტები უნდა გადაიცეს საბაბად იმისათვის, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებმა გაწყვიტონ დიპლომატიური ურთიერთობა კუბასთან.

კასტრომ ამხილა საზიზღარი ყალბი მასალები და მათი ავტორები და აღნიშნა, რომ ამერიკის იმპერიალისტი ცდილობს დაამარცხოს კუბის რევოლუცია და იყენებს ყოველ საშუალებას. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა, თქვა კასტრომ, ყველგან ვიბრძოლოთ მტრის წინააღმდეგ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა დორტიკოსმა. იგი თავდაპირველად შეეხო ბელგრადის კონფერენციის შედეგებს, შემდეგ კი ილაპარაკა ძმური მეგობრული მიღების შესახებ, რომელიც მას რევოლუციური კუბის წარმომადგენელს ყველგან ხვდებოდა საბჭოთა კავშირში, ჩინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

თავისი გამოსვლის დასასრულს დორტიკოსმა მოუწოდა კუბელ ხალხს გაძლიეროს ერნესტო ჩეგევარა ისტორიულ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებს კუბის რევოლუცია.

კუბა ამხელს ვაშინგტონის მუხანათობას

კუბის საგარეო საქმეთა მინისტრის წერილი გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისადმი

ნიუ-იორკი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გაავრცელა ტექსტი კუბის საგარეო საქმეთა მინისტრის რაულ როას წერილისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისადმი. კუბის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მტრული საქმიანობის შესახებ, რათა გამოიწვიონ სერიოზული გართულებანი სხვა ქვეყნებთან კუბის ლიკვიდაციერ ურთიერთობაში. წერილში, რომელიც დათარიღებულია 4 ოქტომბრით, ნათქვამია:

„კუბის რევოლუციური მთავრობის დავალებით მაქვს პატივი მივაქციო თქვენი ყურადღება იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, საელჩოებისა და კონტრრევოლუციური კუბელი ელემენტების მეშვეობით ახორციელებენ ფართო გეგმას, რომლის მიზანია შეუქმნას ჩვენს ქვეყანას სერიოზული სიძნელენი სხვა სახელმწიფოებთან დიპლომატიურ ურთიერთობაში.

ამ გეგმის მთავარი შემადგენელი ნაწილის სახით მზადდება და ქვეყნდება ყალბი დოკუმენტები, რომელთაც ვითომ ხელს აწერენ კუბის საგარეო საქმეთა მინისტროს მაღალი თანამდებობის პირები და რევოლუციის ბელადები. ამ დოკუმენტებში მოხსენებულია ავანტიურა გაფრთხილებანი ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ, რაც მიმართულია იმ მთავრობების წინააღმდეგ, რომლებსაც ნორმალური ურთიერთობა აქვთ დამყარებული ჩვენს ქვეყანასთან. ამ მოქმედების თვალსაჩინო მიზანი ის არის, რომ გამამართლონ ბორტი მტკიცებანი, თითქოს რევოლუციური მთავრობა აღრევენს „საურველობის“ პრინციპს და განაგრძონ გზა კუბის ხალხის წინააღმდეგ ამერიკის იმპერიალიზმის ახალი პირდაპირი თუ არაპირდაპირი აგრესიისთვის.

რევოლუციურმა მთავრობამ დამაკავა გთხოვოთ თქვენ გაავრცელოთ ეს წერილი ოფიციალური დოკუმენტის სახით გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან აკრედიტებული ყველა წარმომადგენლობის მეთაურთა შორის იმისათვის, რომ მათ ოფიციალურად ვაუწყოთ ეს ახალი საერთაშორისო შეთქმულება კუბის თავისუფალი თვითგამორკვევის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ. ამავე დროს გაცნობებთ, რომ მთავრობები, რომლებსაც დამყარებული აქვთ დიპლომატიური ურთიერთობა კუბასთან, მოკლე ხანში მიიღებენ საკმაო საბუთს, რაც ამხილებს ამ შეთქმულების ნამდვილ მოტივებსა და ბოროტ ზრახვებს.

დოქტორი რაულ როა,

საგარეო საქმეთა მინისტრი“.

სპეკ XXII ურილოგის შესახვედრად

როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში დიდი მზადებაა სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად. ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებსა და კოოპერატივებში დიდი ხანია გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXII ყრილობისათვის შესახვედრად. ყრილობის შესახვედრად ვახტზე დგანან პანოის მექანიკური ქარხნის, ელექტროსადგურის და სხვა საწარმოთა მუშები. თვითეულ მათგანს აღებული აქვს კონკრეტული ვალდებულება, რათა ღირსეულად შეხვდეს ყრილობას.

აკადემიური ცენტრები

პეკინი და შანხაი სულ უფრო და უფრო ხდებიან სახალხო ჩინეთის მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის მთავარი დარგებისათვის სპეციალისტების მომზადების აკადემიურ ცენტრებად. პეკინში ამჟამად 50 უმაღლესი სასწავლებელია ხოლო შანხაში — 31. მასწავლებელთა კადრების მომზადებისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში შექმნილია პედაგოგიური ინსტიტუტისა და სასწავლებლების ფართო ქსელი. ახლა ჩინეთში 3 მილიონზე მეტი მასწავლებელია.

ქალაქების ზრდა

პოლონეთში სულ უფრო შესამჩნევი ხდება ქალაქების სწრაფი ზრდა. ეს დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის სწრაფ განვითარებასთან, განსაკუთრებით კი მრეწველობის განვითარებასთან. ამჟამად ქვეყნის 30 მილიონიანი მოსახლეობის 48 პროცენტი ცხოვრობს ქალაქად. 1950 წელს ქალაქის მოსახლეობის პროცენტი შეადგენდა 39 პროცენტს, ხოლო 1921 წელს — 24,6 პროცენტს. პოლონეთში არის 22 ისეთი ქალაქი, სადაც თვითეულში 100 ათასი მცხოვრებია. ამჟამად ვარშავის მოსახლეობა შეადგენს 1.100 ათას კაცს.

ახალი ენერგეტიკული ბაზა

ბულგარეთი მდიდარია წიაღისეულით ქვეყნის სამხრეთით ბალკანეთის მთებში არის ქვანახშირის საბადოები. მეორე მსოფლიო ომამდე ქვანახშირის ამოღება ხდებოდა პრიმიტიული წესით, მაგრამ სულ სხვა სურათია ამჟამად. სახალხო-დემოკრატიულმა წყობილებამ განახორციელა ქვანახშირის ბალკანეთის აუზის რეკონსტრუქციისათვის. აქ ახლა ყოველდღიურად ამოაქვთ 1.500 ტონაზე მეტი ქვანახშირი. მიმდინარე წელს ბულგარეთის მრეწველობა მიიღებს 4-ჯერ მეტ ქვანახშირს, ვიდრე 1939 წელს. აუზის ირგვლივ შეიქმნა მეშახტეთა ქალაქის ტიპის 13 დასახლება, სადაც ცხოვრობს ათეულათასობით მეშახტე თავისი ოჯახით.



სურათზე: ბულგარეთის გემი „გეორგი დიმიტროვი“.

ბულგარეთის დელეგაციის საგენტოს ფოტოქრონიკა.

ფოტოკორესპონდენტი ამბობს

ქვეყნებში

ახლა აქ მიმდინარეობს დამატებით ახალი შახტებისა და გამამდიდრებელი ქარხნის მშენებლობა.

ზრდის ციფრები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა შეუდგა სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის განხორციელებას. 1967 წლისათვის რესპუბლიკის მრეწველობა გამოუშვებს იმდენ პროდუქციას, რამდენიც გამოუშვა მთელი 14 წლის განმავლობაში — 1946 წლიდან 1959 წლამდე. შვიდწლეულის ბოლო წელს 13 დღეში გამოშვებულ იქნება იმდენი პროდუქცია, რამდენიც მთელი 1944 წლის განმავლობაში. 1967 წლისათვის კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში წარმოებულ იქნება 16-17 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 23-25 მილიონი ტონა ქვანახშირი, 2,2-2,5 მილიონი ტონა თუჯი, 2,2-2-5 მილიონი ტონა ფოლადი, 1,6-1,8 მილიონი ტონა ნაგლინი, 80-100 ათასი ტონა ხელოვნური და სინთეტიკური ბოჭკო. ასევე იზრდება მეურნეობის სხვა დარგებიც.

ადენაუერის ზეგავლენა

ბონი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ლპას საგენტო იუწყება, ამერიკის ელჩი დიულინგი ბონიდან ვაშინგტონს გაემგზავრა, რათა პრეზიდენტ კენედის გააცნოს „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თვალსაზრისი ბერლინისა და გერმანიის საკითხებზე“. წასვლის წინ დიულინგი ეწვია კანცლერ ადენაუერს.

იმის შესაძლებლობამ, რომ დასავლეთი დათმობს, იუწყება საგენტო, გამოიწვია ადენაუერის „გარკვეული შიში, რომელიც მან გამოთქვა პრეზიდენტ კენედასადმი პირად წერილში. ეს წერილი გადაცემულ იქნა ვაშინგტონში გრომიკოს საუბრის წინა დღით“.

შემდეგ საგენტოს ცნობაში ნათქვამია, რომ ადენაუერი, თუ იგი კანცლერად დარჩა, შეიძლება ნოემბერში ეწვიოს ვაშინგტონს.

სამი პრინციპის შეხვედრა

მოლაპარაკება ლაოსში

ხინ-ხეპი (ლაოსი), 7 ოქტომბერი. საკდესს კორესპონდენტი ა. სილანნინი იუწყება:

ლაოსის სამი პრინცის შეხვედრა გაიმართა.

ხუთი საათის საუბრის შემდეგ გამოქვეყნდა კომუნიკე და შეიქმნა სამმხრივი მუშა კომისია 12 წევრისაგან, რომელსაც ეევალება შეთანხმოს სამივე მხარის თვალსაზრისი. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის, მთავრობის წევრთა რაოდენობისა და მინისტრების პორტფელების განაწილების შესახებ.

პრინცთა პირველმა საუბარმა გამოავლინა თვალსაზრისის მნიშვნელოვანი განსხვავება, ერთი მხრივ, საკანონმდებლო ხელისუფლება, და, მეორე მხრივ, სამეფო მთავრობასა და ნეოლაო ხაკ სატის პარტიას შორის, ორ საკითხში სამი განსახილველი საკითხიდან, სახელდობრ კი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურისა და მინისტრების პოსტების განაწილების თაობაზე. კერძოდ, მეამბოხენი დაჟინებით მოითხოვენ მიიღონ თავდაცვის მინისტრის პოსტი და იმედი აქვთ გაიყვანონ მთავრობაში გენერალი ფუმი ნოსავანი.

მეამბოხენი მოითხოვენ, რომ პრემიერ-მინისტრის არჩევის საკითხი გადაეგზავნოს მეფეს და არა შეხვედრის მონაწილეებმა, როგორც ამას პრინცები სუვანა ფუმა და სუფანუვონგი სთავაზობენ. ბუნ უმი წინააღმდეგია იმისა, რომ პრემიერ-მინისტრმა უხელმძღვანელოს აგრეთვე რომელიმე სამინისტროს.

მხარეები შეთანხმდნენ იმ პრინციპში, რომ მომავალი მთავრობა უნდა შედგებოდეს 12 მინისტრისა და ოთხი სახელმწიფო მდივნისაგან.

დღეს მუშა კომისია ამთავრებს თავის მუშაობას. ხვალ, ამჟერად მდინარე ნამ ლიკის მარცხენა სანაპიროზე, პრინცები კვლავ შეხვდებიან, რათა განიხილონ მუშა კომისიის მიერ წარმოდგენილი საკითხები.

ჟურნალისტებთან საუბარში პრინცმა სუვანა ფუმამ განაცხადა, რომ მესამე საუბარი არ გაიმართება. ამრიგად, ხვალინდელი შეხვედრის დროს სამი პრინცი გადაწყვეტს საკითხს, ექნება თუ არა ლაოს ეროვნული კოალიციური მთავრობა, მშვიდობა და მყუდროება.

„ულტრებმა“ მოიკალათეს იტალიაში

პარიზი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). ულტრაკოლონიალისტურმა „საიდუმლო შეიარაღებულმა ორგანიზაციამ“ იტალიაში, ისევე როგორც ესპანეთსა და დასავლეთ გერმანიაში, შექმნა განშტოებული ქსელი, რომელიც დაკავშირებულია სხვა ფაშისტურ დაჯგუფებებთან, კერძოდ, „იტალიის სოციალურ მოძრაობასთან“,— იუწყება გაზეთი „ფრანს-სუარი“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის „წევრთა შეხვედრის ადგილია რომში. ამ ფაშისტური ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, იუწყება გაზეთი, „მტკიცედ მოიკალათეს იტალიაში და ცხოვრობენ მოგონილი გვარებით. აქვთ ესპანური ან იტალიური პასპორტები“. მაგალითად გაზეთი ასახელებს „ულტრების“ ერთ-ერთ მეთაურს ფილიპე დე მასს, რომელსაც აქვს რამდენიმე პირადობის მოწმობა, გაცემული ესპანეთსა და იტალიაში. ფრანგი ფაშისტების წარმომადგენელნი, როგორც გაზეთი აღნიშნავს, იყენებენ იტალიის ნეოფაშისტური ორგანიზაციების, კერძოდ „ახალგაზრდა იტალიის“ შენობებს. პოლიცია, წერს „ფრანს-სუარი“, დღემდე არ აწუხებს „ულტრებს“, რომლებმაც რომში მოიკალათეს.

ისინი ცდილობენ რომში კავშირი დამყარონ კათოლიკური ორგანიზაციების ზოგიერთ ხელმძღვანელთან.

გაზეთი აღნიშნავს, რომ „რამდენიმე ქალაქში, და კერძოდ რომის მახლობლად, არის ფრანგი „ულტრების“ დასაბინავებელი ცენტრები. ეს ცენტრები, წერს „ფრანს-სუარი“, მოაწყეს იტალიის ნეოფაშისტურმა ორგანიზაციებმა. იქ ჩასულთ აძლევენ დოკუმენტებს, ხოლო შემდეგ გზავნიან სხვა ადგილებში. „დაშორებული სიდიმელო კავშირი რადიოთი ან ტელეფონით სამუალებას იძლევა შეამოწმონ ყველა ჩასულის პიროვნება, — წერს გაზეთი, — არის რამდენიმე პატარა საწვრთნელი ცენტრი სოფელში, სადაც ინსტრუქტორები ასწავლიან მათ იარაღისა და თვითნაკეთი ბომბების ხმარებას. საქმე ეხება იმას, რომ მოამზადონ რამდენიმე დაჯგუფელი ჯგუფი, რომლებიც შეიძლება ფარულად გაგზავნონ საფრანგეთში იმ შემთხვევაში, თუ იქ ბრძოლა დაიწყო“.

ფრანკო ომზე ოცნებობს

პარიზი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). ფრანგული ყოველკვირეული „ტრიბუნ დე ნასიონი“ მადრიდიდან მიღებულ კორესპონდენციაში კომენტარს უკეთებს ესპანეთის დიქტატორის ფრანკოს ამას წინანდელ სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა ბურგოსში ხელისუფლების საფუძველი თავისი ჩაგრობის 25 წლისთავის აღსანიშნავად.

არსებითად კაუდილომ თითქმის აშკარად მოითხოვა მისცენ მას ატომური იარაღი და საერთოდ გაუდიდონ სამხედრო ხარჯები, წერს ყოველკვირეული. ფრანკომ ავარეთვე ბრალი დადო დასავლეთის სახელმწიფოებს იმაში, რომ ისინი „უკან იხევენ ომის მომზადების საკითხში“, და განაცხადა, რომ ესპანეთს შეუძლია დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მომავალ ომში.

დასავლეთის ილუზია და რეალური ფაქტები

გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი არსებობის მეთორმეტე წლისთავი აღნიშნა იმ პირობებში, როცა გერმანიის პრობლემა საერთაშორისო ცხოვრების ცენტრშია. გერმანიის საზავო ხელშეკრულებისა და მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციის, „ბერლინის კრიზისისა“ და მისი გადაჭრის საშუალებათა, ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობისა და სხვა საკითხებს გაცხოველებით განიხილავენ პოლიტიკური მოღვაწენი და მსოფლიო პრესა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარება მიმდინარეობდა რთულ საერთაშორისო ვითარებაში, დასავლეთის სახელმწიფოთა შეტევით, რომლებიც განუწყვეტლივ ამლიერებდნენ დაძაბულობას, იმ პირობებში, როცა მეზობელი დასავლეთ გერმანია აშკარად ახორციელებდა მილიტარისტულ და რევანშისტულ კურსს. მაგრამ იმ ფაქტმა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ვითარდებოდა სოციალისტური გზით, როგორც წევრი მძლავრი სოციალისტური ბანაკისა, საშუალება მისცა რესპუბლიკის მშრომელებს უუცებლოთ მუქარა, განმტკიცებინათ თავიანთი სამშობლო და მოეპოვებინათ შესანიშნავი წარმატებანი ეკონომიკასა და პოლიტიკაში.

სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობით გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თითქმის ერთნორად გადაამეტა ომამდელ დონეს და ახლა მერვე ადგილი უკავია მსოფლიოს დიდად განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებს შორის და მეხუთე ადგილი — ევროპაში. დიდი მიღწევებია რესპუბლიკის კოოპერირებულ სოფლის მეურნეობაში.

დასავლეთის პროპაგანდა ჩქმალავს ამ ფაქტებს, და, თუმცა ეს სასაცილოდ გვეჩვენება, ცდილობს წარმოსახოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა რაღაც ხელოვნურ წარმონაქმნად. ცილისწამების მღვრიე ნაკადი დაატყდა თავს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის ხელისუფლებამ 13 აგვისტოს განაბრძოლა ლონისძიებანი ბერლინის სექტორალურ საზღვრებზე კონტროლის გასაძლიერებლად. გაზეთების „წინასწარმეტყველთა“ მრავალრიცხოვანი და მყვირალა არმია დასავლეთში წინასწარმეტყველებდა „აღმოსავლეთ გერმანიის რეიმის სწრაფ კრახს“, საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის საომარ კონფლიქტს.

ორი თვეც არ გასულა მას შემდეგ, მაგრამ რა დარჩა ახლა ამ წინასწარმეტყველებიდან? მოვლენებმა კვლავ ცხადყვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სიცოცხლისუნარიანობა, მისი ძალა, რესპუბლიკის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ერთიანობა, რომლებიც მხარს უჭერენ თავიანთ მთავრობას. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები, რაც 17 სექტემბერს მოეწყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ადასტურებენ ამ დასკვნებს.

აგვისტოს შემდეგ ის თვალსაზრისი, რომ გერმანიის საკითხი შეიძლება გადაიჭრას მოლაპარაკების გზით, არსებითად საყოველთაოდ აღიარებული გახდა. გაიმართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დ. რასკის შეხვედრები, აგრეთვე გრომიკოსა და პრეზიდენტ კენედის შეხვედრა, დასავლეთის პრესა, რომელიც სულ ახლახან წინასწარმეტყველებდა სომარ კონფლიქტს ბერლინში და უარყოფდა რაიმე მოლაპარაკებას, რაც დასავლეთის პირობებს არ შეესაბამებოდა, ახლა „გაკვირვებით“ დასასკვნის რომ მოლაპარაკება ვითარდება ორივე მხარის პოზიციების დაახლოების მიმართულებით, და განიხილავს პუნქტებს, რომლებზეც შესაძლებელი ა შეთანხმება.

ჩვენ შევეხეთ ერთ ფაქტს, რომელიც მოწმობს, რომ ჩაიფუშა დასავლეთის პოლიტიკა გერმანიის საკითხში. აქ უნდა შევნიშნოთ: დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკა გერმანიის საკითხში, მიუხედავად ამ სახელმწიფოების წარმომადგენელთა განცხადებებისა, „დასავლეთი ერთიანია“, ერთიანი როდია. კერძოდ, უნდა აღინიშნოს რომ, თუ უახლოეს წარსულში გერმანიის საკითხზე დასავლეთის პოზიციაში გაბატონებული იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების თვალსაზრისი, ახლა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის ზოგიერთი გავლენიანი წრე გადაჭრით გამოდის იმის წინააღმდეგ, რომ მან ქვეყნების ინტერესები გაუთანაბრდეს დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის ინტერესებს. აქ დიდ როლს ასრულებს ის ფაქტი, რომ დასავლეთ გერმანია, რომელმაც აღადგინა თავისი ეკონომიური და სამხედრო პოტენციალი, ზოგ ვინმეს დასავლეთში შიშს უნერგავს.

დასავლეთის შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსებს გამოაქვთ დასკვნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის გეგმები ემყარება მის მისწრაფებას — გამოიწვიოს საომარი კონფლიქტი საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის. ამ მხრივ დასავლეთგერმანული პოლიტიკოსები ჰიტლერის პირდაპირი მემკვიდრენი არიან.

ის ფაქტი, რომ დასავლეთ გერმანია ნატოს დამკვრელი ძალაა და გაბატონებული პოზიციები უკავია დასავლეთ ევროპის ეკონომიურ კავშირებში, არ აბრკოლებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებს შორის უთანხმოების წარმოქმნას. ამ უთანხმოებათა შესახებ დასავლეთის პრესა დიდი „გულახდილობით წერს. გერმანიის ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის 12 წლის მანძილზე მსოფლიო მოწმე იყო იმისა, რომ დაიმსხვრა მთელი რიგი საუფლებანი, რომელთაც დასავლეთის პოლიტიკა ემყარება გერმანიის საკითხში.

ერთი მხრივ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ცდილობს ოფიციალურ ფორმებში ეაღიაროს ბერლინის ფეოდალ-ბურჟუაზიული ლოგიკური შედეგი ომისა, ანუ ბერლინის ორ ნაწილად გაყოფა. ეს ფაქტი, ეს ფაქტორი, ეს ფაქტორი, ეს ფაქტორ

თბილისის ბედნიერი ცის ქვეშ

საკავშირო ჩემპიონატი მძლეოსნობაში. **სურათებზე:** მარათონული რბენა 50 კილომეტრზე (ზევით) ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი მარათონულ რბენაში ვ. ბაიკოვი. ფოტო შ.ჩხეტიანისა.

დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი მძლეოსნობაში

თა სპორტის ისტორიაში, როგორიც იყო ჩვენი ქვეყნის მძლეოსანთა ჩემპიონატი. არის ასეთი გამოთქმა — „ფარდის წინ", ესე იგი დასასრულს. ჩემპიონატის „ფარდის წინ" ჩვენ ვიყავით მოწმე ჭეშმარიტად იშვიათი მოვლენისა მსოფლიო სპორტის ისტორიაში. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ზოგჯერ ზედმეტ თავმდაბლობას ვიჩენთ. ჩვენს სახელოვან ათჯიდელს ვასილ კუზნეცოვს საზღვარგარეთ უველგან დიდ სპორტსმენს უწოდებენ, ჩვენ კი რატომღაც გვრცხვენია ასე ლაპარაკი. ვეკისრებ გამბედაობას დავარღვიო ეს ტრადიცია და ირინე პრესს დიდ სპორტსმენს ვუწოდებ.

ის, რაც ჩემპიონატის უკანასკნელი ორი დღის მანძილზე გაკეთა ორ „ოქროს დაში" უმცროსმა, ჭეშმარიტად აღტაცების ღირსია. ხუთჯიდი ქალბა მძლეოსნობის ურთულესი და უძნელესი სახეობაა. იგი შეიცავს თარჯრბენს 80 მეტრზე, ბირთვის კვრას, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომას და 200 მეტრზე რბენას. ქულები სპორტსმენს ერიცხება მის მიერ ნაჩვენები შედეგების მიხედვით.

ირინე პრესმა მსოფლიოში პირველმა მოაგროვა ქულების ჯამი, რომელიც 5.000-ს აღემატება, უფრო ზუსტად — მოაგროვა 5.020 ქულა. ეს მოხდა მიმდინარე წლის აგვისტოში. და აი ახლა, თბილისის ბედნიერი ცის ქვეშ, თბილისის მიწაზე, მან გადააჭარბა თავის თვალსაჩინო მიღწევას. აქ მის ანგარიშზე აღმოჩნდა 5.137 ქულა!

საინტერესოა შეკადაროთ მისი მაჩვენებლები სახეობათა მიხედვით პირველ და მეორე შემთხვევაში. აგვისტოში ირინე პრესმა მიაღწია ასეთ შედეგებს: თარჯრბენი 80 მეტრზე — 11,2 წამი; ბირთვის კვრა — 15,98 მეტრი; სიმაღლეზე ხტომა — 1,6 მ.; სიგრძეზე ხტომა — 6,05 მ.; 200 მეტრზე რბენა — 27,7 წამი. თბილისში იგი გაცილებით უკეთესად გამოვიდა (გარდა ბირთვის კვრისა); თარჯრბენი 80 მეტრზე — 10,9 წამი; ბირთვის კვრა — 15,26 მ.; სიმაღლეზე ხტომა — 1,62 მ.; სიგრძეზე ხტომა — 6,24 მ.; 200 მეტრზე რბენა — 24,2 წამი. დაინტერესებულთათვის შემიძლია ვთქვა, თუ რამდენი ქულა მოაგროვა გუშინ ირინე პრესმა თვითეულ სახეობაში: 80 მეტრზე თარჯრბენში — 1.061; ბირთვის კვრაში — 1.062; სიმაღლეზე ხტომაში — 965; სიგრძეზე ხტომაში — 1.042; 200 მეტრზე რბენაში — 1.007.



ცნობილი სპორტული ფოტოკორესპონდენტი ა. ბურდიუკოვი.

იმის სრული შეფასებისათვის, თუ რა ბევრს იწონის სპორტული სახელის სახეწორზე ლენინგრადის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტის ირინე პრესის 5.137 ქულა, მკითხველს შეუძლია გაითვალისწინოს ასეთი გარემობა: მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა გალინა ბისტროვამ, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, მხოლოდ 4.736 ქულა მოაგროვა. დღეს ადვილად ითქმის „მხოლოდ". ხუთიოდე წლის წინათ ქულების ასეთი რაოდენობა მთელი მსოფლიო პრესის აღტაცებულ კომენტარებს გამოიწვევდა.

ქალები მონაწილეობდნენ ხუთჯიდში, ხოლო მამაკაცები — ათჯიდში. და აქ გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ ვასილ კუზნეცოვის დიდი მარცხი. ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე კუზნეცოვის მწვრთნელმა ვლადიმერ ვოლკოვმა მითხრა, ჩემი მოწაფე საუკეთესოდ არის მომზადებული და შეუძლია თუ მსოფლიო რეკორდი არა, ყოველ შემთხვევაში ევროპის რეკორდი დაამყაროს. დიდმა სპორტსმენმა მართლაც შესანიშნავად დაიწყო შეჯიბრება. 100 მეტრი მან გაირბინა 10,8 წამში, სიგრძეზე გადახტა 7,22 მეტრზე და ბირთვი ჩკრა 14,11 მეტრზე. წარმატება თითქოს ეჭვს არ იწვევდა. და უცებ... ბირთვის კვრის ერთ-ერთი ცდის დროს კუზნეცოვი მკვეთრად შემობრუნდა და ძლიერ გაეჭიმა თეძოს კუნთი. ასეთი უსიამოვნო რამ ჩვეულებრივი ხდება ხოლმე (თუ საერთოდ ხდება) რბენის ან ხტომის დროს. მაგრამ ასე თუ ისე კუზნეცოვი იძულებული გახდა შეეწყვიტა გამოსვლა, ხოლო უმთავრესად შეჯიბრებამ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა (დაე ნუ ეწყინებათ ეს სხვა ათჯიდელებს). ო�e გამარჯვება მოიპოვა ევროპის რეკორდსმენმა უკრაინელმა იური კუტენკომ.

ფARDის წინ თავისი ოსტატობა უჩვენა ერთ-ერთმა ყველაზე გამძლე ადამიანმა დედამიწაზე. თუ ვინმეს დაეჭვებს მართებულობა სიტყვებისა „ყველაზე გამძლე", სინჯოს თვითონ გაირბინოს 42 კილომეტრი 195 მეტრი 2 საათსა, 4 წუთსა და 5,4 წამში ან გაიაროს 50 კილომეტრი 4 საათსა, 10 წუთსა და 23,6 წამში. სწორედ ასეთი შედეგები უჩვენეს გუშინ სმა კავშირის ჩემპიონებმა ვიქტორ ბაიკოვმა და მიხეილ ლავროვმა. ბაიკოვი პროფესიით ისტორიის მასწავლებელია, დაბადებულია რიაზანში. ამჟამად საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობს, აქვს უმცროსი სერჟანტის წოდება. მარათონული რბენის მეოცე კილომეტრიდან იგი წინ გავიდა და აქედან მიკიდებული ფინიშამდე არ დაუთმია ლიდერობა. ლავროვმა (ვორონეჟი) გამარჯვება მოიპოვა 50 კილომეტრზე სიარულში.

მაშ ასე, მძლეოსანთა გრანდიოზული სპექტაკლი დამთავრდა. სსრ კავშირის სამი რეკორდი, რომელთაგან ერთი მსოფლიო რეკორდს აღემატება, დამყარებულია თბილისის ბედნიერი ცის ქვეშ. და ეს, თუ არ ჩავთვლით მოკავშირე რესპუბლიკების, სასპორტო საზოგადოებებისა და, რა თქმა უნდა „ქარიშხალას" სტადიონის მრავალ რეკორდს. აქ აღარ „ცი რის შესახებ ილაპარაკო — თბილისის ბედნიერი ცის თუ თბილისის ბედნიერი მიწის შესახებ.

მაგრამ მთავარი არც რეკორდებია. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მკვეთრად ამაღლდა მძლეოსანთა მიღწევების საშუალო დონე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამჟამად არ არის ძლიერ შესაჩჩევი განსხვავება წამყვანი სპორტსმენების შედეგებისა და იმათ შედეგებს შორის, ვინც მათ მიჰყვება. და საერთოდ „წამყვანი სპორტსმენის" ცნებამ ახლა რამდენადმე სხვა იერი მიიღო. მაგალითად, ვინ უნდა ჩაითვალოს წამყვანად მამაკაცთა სპრინტში, თუ 100 და 200 მეტრზე რბენაში სამ-სამმა მორბენალმა უჩვენა თანაბარი დრო, ხოლო გამარჯვებულის გამოვლინება შეიძლებოდა მხოლოდ ფოტოფინიშის დახმარებით?

დღეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო მძლეოსნები ეთხოვებიან საქართველოს დედაქალაქს. ზოგი შინისაკენ მიემართება, ზოგი კი კვლავ მიდის სტუმრად. მათ უძნელდებათ სტუმართმოყვარე საქართველოს დატოვება. მე მხედველობაში მყავს „დინამოს" და „ქარიშხალას" მძლეოსნები, რომლებიც მიდიან ბათუმში, სადაც ამ სასპორტო საზოგადოებათა ჩემპიონატები გაიმართება. თბილისის გუშინდელი სტუმრების დიდი ჯგუფი კი მალე გაემგზავრება მშობლიური ქვეყნის საზღვრებს გარეთ — იტალიასა და იაპონიაში. თუ გაგახსენებთ, რომ სწორედ იაპონიაში სამი წლის შემდეგ გაიმართება XVIII ოლიმპიური ასპარეზობა, ამ გამგზავრების მნიშვნელობა განსაკუთრებით ნათელი გახდება.



მსოფლიო რეკორდსმენი ირინე პრესი.

ქართველი მძლეოსანი თ. მდივანი.

მეგობრული შარჟები გ. ფირცხალავასი.

* * *

თბილისელი ბადმინტონისტები — ბ. ბ. ბ. ... ...